



MES 1 20 0000705895



19/08/2020

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს**

**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 11 აგვისტოს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

<https://us02web.zoom.us/j/82276012691>

Meeting ID: 822 7601 2691

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**მარიკა ზაქარეიშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს მდივანი;

**თამაზ ბახტაძე** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**ქრისტინე მეფარიშვილი** - სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე თოხაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**იურიდიული პირების წარმომადგენლები:**

**სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი:**

თეიმურაზ ასათიანი - დირექტორი

ელისაბედ ებრალიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

**შპს ბაზალტ - ფაიბერსი:**

წარმომადგენელი არ ესწრებოდა

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

ბესარიონ თეთვაძე

დავით გუდაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის - „ტრაქტორის მართვა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების“ /00700/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

2. შპს ბაზალტ - ფაიბერისთვის „ელექტროტექნიკოსის“ /00431/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ჰქონდათ და საბჭომ განიხილა საკითხები წარმოდგენილი დღის წესრიგის მიხედვით.

**1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის - „ტრაქტორის მართვა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების“ /00700/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

**წარმდგენები:** ლანა გაჩეჩილაძე, ბესარიონ თეთვაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა გადამზადების პროგრამა - „ტრაქტორის მართვა და სასოფლო სამეურნეო მომსახურება“ და ვიზიტი კოლეჯში განხორციელდა მიმდინარე წლის 17 ივლისს.

ლანა გაჩეჩილაძემ ისაუბრა დასკვნაში მითითებულ, ვიზიტის დროს გამოვლენილ ხარვეზებზე, კერძოდ:

1.2 ქვესტანდარტი - პროგრამის დასახელება უფრო ფართოა და მრავლისმომცველი, ვიდრე ამას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები იძლევა. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს.

1.4 ქვესტანდარტი - ტრაქტორის მართვის (მეოთხე სწავლის შედეგი) სწავლება დაგეგმილია მე-8, მე-9 და მე-10 კვირაში, რომელთაც ჯამში ეთმობა 64 სთ, ამ ხანგრძლივობაში სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდოა, მაშინ როცა მსმენელებს არ

მოეთხოვებათ მართვის მოწმობის ქონა B ან C კატეგორია და შესაძლოა პრაქტიკული შეხებაც კი არ ჰქონდეთ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვასთან.

1.6 ქვესტანდარტი - პროგრამის მესამე სწავლის შედეგი (ტრანსპორტის მართვის წესები T კატეგორიის შესაბამისად) არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. არ ჩანს წესების ცოდნა-გაცნობიერება მოეთხოვება მსმენელს თუ, წესების შესაბამისად, პრაქტიკული უნარების გამომჟღავნებაც.

1.7 ქვესტანდარტი - დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, მეოთხე სწავლის შედეგის მიღწევა აღნიშნულ განხორციელების ვადაში შეუძლებელია.

2.2 ქვესტანდარტი - რაიონულ კოოპერატივ „დვალეთთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება 2019 წლის ივნისში და მითითებულია, რომ გაფორმებულია მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამა „ტრაქტორისტ-მემანქანის“ განხორციელების მიზნით და კომპანია უზრუნველყოფს არაუმეტეს 10 მსმენელის პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. 2020 წლის 13 მაისს გაფორმებულია შეთანხმების აქტი აღნიშნულ ხელშეკრულებაში დამატების შესახებ, რომლის თანახმად ხელშეკრულებას დაემატა იმ აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომლითაც ისარგებლებენ პროგრამის მსმენელები (აღსანიშნავია, რომ შეთანხმების აქტივში პროგრამის დასახელება არასწორადაა მითითებული). აღჭურვილობის ჩამონათვალი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს ისეთ აღჭურვილობებსაც რომელიც სცდება პროგრამის შედეგებს (მაგალითად: თავთავიანი კულტურების სათესი მანქანა, თესლის დასაკალიბრებელი, სათიბ-საქუცმაცებელი და სხვ.), თუმცა ჩამონათვალიში არ ჩანს, რომ მსმენელები გამოიყენებენ იმ 5 ერთეულ ტრაქტორს, რომელზეც საუბარი იყო გასაუბრებისას.

2.3 ქვესტანდარტი - სასწავლო ლიტერატურა „მანქანების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“, ჯ. კაციტაძე თბილისი, 2002 წ. ვიზიტის დროს ვერ იქნა წარმოდგენილი.

2.4 ქვესტანდარტი - კოლეჯმა წარმოადგინა 2019 წლის 18 დეკემბრის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N86, რომლის მიხედვით შენობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. ვიზუალური დათვალისწინებით დადგინდა, რომ გათვალისწინებულია მათ მიერ მიცემული რეკომენდაციები, თუმცა კოლეჯს არ მიუმართავს შესაბამისი უწყებისთვის განმეორებით შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი ხარვეზები ცოტა არ არის, ამიტომ ფიქრობს, უმჯობესია საბჭომ პირველ რიგში მოუსმინოს დაწესებულების წარმომადგენლებს, დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია, ეთანხმებიან თუ არა ექსპერტების მოსაზრებებს ხარვეზებთან დაკავშირებით და შემდეგ მოისმენენ ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. ასევე, საბჭოს ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად, საინტერესო იქნებოდა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლების მოსმენაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა თავისი პოზიცია პუნქტების მიხედვით:

2.2 სტანდარტთან დაკავშირებით განიმარტა, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს და პროგრამის ფარგლებში გააფორმდა ახალი ხელშეკრულება, სადაც მითითებულია, რომ ტრაქტორებს, რომელიც პროგრამისთვის არის საჭირო, კოოპერატივი გამოიყენებს სტუდენტებისთვის. ასევე, ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ კოლეჯის მსმენელებს შეუძლიათ გამოიყენონ პარტნიორი ორგანიზაციის აღჭურვილობა პროგრამის მიზნების მისაღწევად. პირველი სწავლის შედეგი არის სასოფლო

სამეურნეო ტრაქტორების კლასიფიკაცია. შესაბამისად, მასწავლებელი თუ ჩათვლის საჭიროდ ამ თემატიკის ვიზუალიზაციისთვის გამოიყენოს მითითებული აღჭურვილობა, რა თქმა უნდა შეუძლია განახორციელოს.

რაც შეეხება სასწავლო ლიტერატურას, მითითებულ სახელმძღვანელოს, ვერ მოხერხდა შეძენა ვიზიტამდე, თუმცა ახლა აქვთ ელექტრონული ვერსია კოლეჯში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის.

სახანძრო უსაფრთხოების ინსპექტირებაც გაიარეს ხელახლა, რეკომენდაციის გათვალისწინებით შესრულებულია ყველაფერი და მიეცათ დადებითი დასკვნა, რაც გულისხმობს რომ დაწესებულება შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების ნორმას. ბატონმა თეიმურაზ ასათიანმა დაამატა, რომ აქვთ ორი 50 ტონიანი რკინა-ბეტონის წყლის ავზი, რითაც მთელი რეგიონი და მიმდებარე სოფლები სარგებლობენ. სამჯერ იყო სოფელში ხანძარი და ჩასაქრობად გამოყენებული იქნა მათი ავზის წყალი.

რაც შეეხება პირველ სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, დაწესებულებამ გაითვალისწინა, შეიმუშავეს შეცვლილი პროგრამის პროექტი, სადაც სათაურიც შეცვლილია - „ტრაქტორის მართვა და სასოფლო სამეურნეო მომსახურების“ ნაცვლად პროგრამას დაერქვა, „ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავება“, რადგან სწავლის შედეგში ნიადაგის დამუშავებაა. თუ საბჭო განსაზღვრავს გამოსწორების ვადას, წარმოადგენენ განახლებულ პროგრამას.

დარგის ექსპერტმა, ბესარიონ თეთვაძემ დააზუსტა, რომ ჯობია ტრაქტორის მართვა დაკონკრეტდეს და სასოფლო სამეურნეო ტრაქტორის მართვა იყოს, რადგან კატეგორიაც სხვადასხვაა. მისი აზრით, ჯობია დაზუსტდეს სახელწოდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ განახლებული პროგრამის პროექტში აგრეთვე გაითვალისწინეს 1.4 და 1.6 ქვესტანდარტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები.

1.7 ქვესტანდარტით განსაზღვრული, პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ დაშვების წინაპირობად აქვთ საბაზო განათლება, 17 წლის ასაკი და სოფლის მეურნეობის სფეროში - ფერმერულ მეურნეობებში, აგრო სერვის ცენტრებში, მინიმუმ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება, რაც ცნობით დასტურდება. მეტი სიცხადისათვის, დაკონკრეტდა ეს ნაწილი და ტრაქტორის 6 თვიანი მართვის გამოცდილება იქნება დაშვების წინაპირობა.

ლანა გაჩეჩილაძემ მეოთხე სწავლის შედეგთან დაკავშირებით დააზუსტა, რომ ტრაქტორის მართვის სწავლება ბოლო კვირებშია მხოლოდ მითითებული, რეალურად მათ მოისმინეს, რომ აპირებდნენ მართვის სწავლებას, მაგრამ პროგრამაში გაწერილი არ არის. ცალ-ცალკე განსხვავებული შედეგებია: T კატეგორიის შესაბამისი წესების შესწავლა და ტრაქტორის მართვა შესაბამისად, ტრაქტორის მართვა თუ გულისხმობს, რომ მეორე კვირიდანვე მართვა პრაქტიკულად პარალელურად ისწავლება, შესაბამისი სწავლის შედეგიც უნდა მიეთითოს მეორე კვირიდან, ეს იყო მათი შენიშვნა.

ცენტრის წარმომადგენელი დაინტერესდა, აქვს თუ არა კოლეჯს ადგილზე, საკუთარ მფლობელობაში ტრაქტორი, რაზეც მიიღო პასუხი, რომ კოლეჯს გააჩნია ერთი მუხლუხა და ორი ბორბლებიანი ტრაქტორი.

კოლეჯის წარმომადგენლის პოზიციის დაფიქსირების შემდეგ ლანა გაჩეჩილაძემ შეაჯამა რეკომენდაციები, კერძოდ:

1.2 ქვესტანდარტი - სასურველია პროგრამის დასახელება დაზუსტდეს სწავლის შედეგების შესაბამისად. აღნიშნა, რომ როგორც საბჭოს სხდომაზე უკვე ითქვა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის პროექტი და გათვალისწინებული აქვთ რეკომენდაცია.

1.7 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია პროგრამაში მეორე კვირიდანვე მიეთითოს მეოთხე სწავლის შედეგი (ტრაქტორის მართვა). ამის შესახებ მოისმინეს დაწესებულების არგუმენტი, თუმცა ექსპერტები არ იზიარებენ მათ არგუმენტს. დაწესებულების არგუმენტი იყო, რომ პროგრამაში ტრაქტორის მართვის სწავლა იწყება მეორე კვირიდან, თუმცა ამბობენ, რომ სწავლას იწყებენ პარალელურად მეორე კვირიდან. პროგრამაში არ არის მითითებული, რომ ტრაქტორის მართვას ასწავლიან პარალელურად და ძალიან განსხვავებული სწავლის შედეგია. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ პრაქტიკული სავარჯიშო სწორედ ამას გულისხმობს, თუმცა მათი მხრიდან მეოთხე სწავლის შედეგის დამატება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, შედეგი მაინც იგივე იქნება, დაამატებს თუ არა მეოთხე სწავლის შედეგს, რეალურად მაინც გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი.

საბჭოს წევრ, მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, ეს განმარტება არ არის მისაღები მისთვის.

ნიკოლოზ მესხიშვილის მოსაზრებით, სავსებით მისაღები განმარტება იყო და დამატებით სიცხადეს არ საჭიროებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ რეკომენდაციის შემდეგ მესამე სწავლის შედეგი ასე ჩამოაყალიბეს -ტრაქტორის მართვის წესების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება T კატეგორიის შესაბამისად, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები.

1.9 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის დაწყებამდე გაფორმდეს ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უკვე გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება, თუმცა ექსპერტებს არ უნახავთ, რამდენად სრულყოფილია.

2.1 ქვესტანდარტი - სასურველია, დოკუმენტალურად დადასტურდეს განმახორციელებელი პირების ჩართულობის ინტენსივობა სწავლის შედეგებთან/ თემატიკასთან მიმართებაში და დაზუსტდეს სამუშაო ადგილი. სამი პირია განხორციელებაში ჩართული, წარმოდგენილია ხელშეკრულებები, თუმცა იქაც რეკომენდაცია იყო, რომ ხელშეკრულებებში გასწორდეს პროგრამის დასახელება და მითითებული იყოს სამუშაო ადგილი, მისამართი.

2.4 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია მოხდეს განმეორებითი სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. დაწესებულების წარმომადგენლის ინფორმაციით, განმეორებით გაკეთებულია შემოწმება და აქვთ დადებითი დასკვნა.

დაწესებულებას მოთხოვნილი ჰქონდა 20 სტუდენტი, მიეთითათ 10, ვინაიდან გაფორმებულ პრაქტიკის ხელშეკრულებაში იყო 10 სტუდენტი და თქვეს, რომ დააკორექტირებდნენ ამ ხელშეკრულებას და 20-ს მიუთითებდნენ.

ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს ფოტო მასალაც წარუდგინა, A და B გარემო სრულად აღჭურვილი, სიმულატორებიც ჰქონდათ წარმოდგენილი ცალ-ცალკე ორი ჯგუფისთვის. აღნიშნა, რომ ის მატერიალური რესურსი ნამდვილად ფიქსირდებოდა, რაც ჰქონდათ მითითებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი თუ ესწრებოდა საბჭოს სახდომას, რაზედაც დაწესებულებამ განაცხადა, რომ არ იცოდნენ თუ საჭირო იყო მათი ჩართვა, როცა ეს პროგრამა შემუშავდა, საპილოტედ განხორციელდა ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში და უშუალოდ ამ კომპანიის დამსაქმებლები იყვნენ ჩართული. ამ ეტაპზე ჰყავთ 11 ბენეფიციარი, რომლებიც იქ არიან დასაქმებულები და მზად არიან გაიარონ ეს პროგრამა.

დამსაქმებლებიდან იყო ძალიან დიდი დაინტერესება, მხარდაჭერა ამ პროგრამის განხორციელებისა, რადგან თვითონაც ამბობდნენ, რომ პრობლემატურია ამ T კატეგორიის მართვის მოწმობის აღება. თან ეს დამსაქმებლები არიან მათ კოლეჯთან ძალიან ახლოს და ადგილობრივად და ტერიტორიულად მათთვის ძალიან ხელსაყრელია. ის ხუთი ტრაქტორი, რაც ექსპერტებმაც დაადასტურეს, ნამდვილად მათი პროგრამის ფარგლებში იქნება გამოყენებული. გააფორმეს ახალი ხელშეკრულება, რომელსაც დანართი აქვს, სადაც მითითებულია, რომ ტრაქტორებს ნამდვილად გამოიყენებენ პროგრამის მიზნების მიღწევისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დღეს ვინც მუშაობენ ტრაქტორზე, ტრაქტორისტებს სადა აქვთ ეს ცოდნა მიღებული. რაზეც პასუხი იყო, რომ კოოპერატივებში, დამსაქმებლებთან აქვთ ნასწავლი, ზოგიერთი არის თვითნასწავლი და შემდეგ დასაქმებულები.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადრე საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებდნენ საგნობრივ პროგრამას, შემდეგ მოდულურ ტრაქტორისტ-მემენქანეს, რომლებიც მიიღია, ამჟამად აგრომექანიზაციის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვის მოდულებს, თუმცა ჯერ მხოლოდ ერთ დაწესებულებას აქვს დამატებული ეს პროგრამა.

ძირითადი პრობლემა ამ შემთხვევაში არის ტექნიკის არქონა და ნელ-ნელა, რაკი მოკლევადიან პროგრამას გეგმავს კოლეჯი, შემდგომში შესაძლებელია მთლიანი საკვალიფიკაციო პროგრამაც დაიმატოს. ამჟამად არსად არ არის საკვალიფიკაციო პროგრამა წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიღევად რეჟიმში აქვთ ტრაქტორისტ-მემენქანის პროგრამა, თუმცა სამომავლოდ გეგმავენ ეს ახალი პროგრამა დაიმატონ და განახორციელონ. ამ ეტაპისათვის არა მარტო მცხეთის რაიონში, მთლიანად რეგიონში არ არის შესაბამისი საგანმანათლებლო უწყება, დაამატა თეიმურაზ ასათიანმა. რაც შეეხება თვითნასწავლობას, მათ შეისწავლეს მსურველებთა ბიოგრაფია და ძირითადად, ან მემკვიდრეობით გადმოდის, ჰყავდათ ტრაქტორი და შეისწავლეს ან დასაქმდნენ და ნელ-ნელა შეისწავლეს. მათ დაამატეს, რომ ეს პროგრამა შეიქმნა UNDP-ის დაინტერესებით და იმედი აქვთ მიეცემათ შესაძლებლობა გამოასწორონ და შემდეგ განახორციელონ პროგრამა.

ნანი დალაქიშვილმა დაამატა, რომ იყო რამოდენიმე ჩარჩო-დოკუმენტი, აგრარული მიმართულებით, რომლის ფარგლებში იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვის მოდულები, მაგრამ არც ერთი სწავლის შედეგი არ ითვალისწინებდა იმ დონეზე მართვის შესწავლას, რომ შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო მიეღოთ ტარების უფლება. კარგა ხანია ვაკუუმი შექმნილი ამ პროცესში, ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია, თუ კოლეჯი განახორციელებს და რეალურად მართვას ასწავლის, ამავე დროს მართვის წესებსაც და გამოცდის ჩაბარების საშუალებას მისცემს თავის მსმენელებს. კარგი ნაბიჯია კოლეჯის მხრიდან. თუ შემდგომში ისინი საკვალიფიკაციო პროგრამის შემუშავებას მოახერხებენ და წარმოადგენენ საავტორიზაციოდ, ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, იმიტომ რომ ეს კოლეჯი არის ძალიან კარგი დასაყრდენი ზოგადად აგრარული პროგრამების განსახორციელებლად, თავისი მატერიალური რესურსით, ხედვით, ისტორიული გამოცდილებით და აშ.

თეიმურაზ ასათიანმა დაამატა, რომ ის ორი ტრაქტორი, რაც მათ კოლეჯშია, ერთი იყო გაეროს ნაჩუქარი და მეორე GIZ -ის მიერ გადმოცემული და ძალიან დიდი ხელშეწყობა და ინტერესი იყო მათი მხრიდან, რომ ეს პროგრამა განხორციელებულიყო. ისინი სხვა პროგრამებს არ ახორციელებენ, ძირითადად მხოლოდ აგრარულ პროგრამებს ახორციელებენ. მათ ტრაქტორებიც ჰყავთ, ნიადაგიც აქვთ, სადაც შეუძლიათ ტრაქტორების გავლაც. კარგი ტექნიკა და არის საშუალება პროგრამის განხორციელების.

საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოცემული პირობებით არ მიენიჭება დაწესებულებას პროგრამის განხორციელების უფლება, თუმცა ისიც ესმით, რომ მნიშვნელოვანი პროგრამაა. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით დარღვეულია 2 სტანდარტი. მეორე სტანდარტის შემთხვევაში, აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარემ, თქვენ განაცხადეთ, რომ გამოსწორებულია რიგი საკითხები, მაგრამ რადგან არ იყო ამის გადამოწმების საშუალება, იურიდიულად ვერ ჩაითვალა გამოსწორებულად. ასევე, პირველი სტანდარტის ფარგლებშიც, პროგრამასთან მიმართებაში, საბჭომ იმსჯელა, მაგრამ ვერ იღებს გადაწყვეტილებას, რომ ხარვეზები გამოსწორებულია. საბჭოს სურვილია, დაწესებულებამ მალე განმეორებით შემოიტანოს ეს პროგრამა ისევ, რადგან ძალიან აქტუალურია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის - „ტრაქტორის მართვა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების“ /00700/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 1**(ნიკოლოზ მესხიშვილი)

**წინააღმდეგი: 9**

### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა შესაბამისად,

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ: 236098851) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ტრაქტორის მართვა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურება /00700.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2020 წლის 11 აგვისტო.

**საკითხის განხილვის და კენჭისყრის შემდეგ მოხდა საბჭოს წევრის ცვლილება: სხდომა დატოვა მარიკა ზაქარეიშვილი.**

**2. შპს ბაზალტ-ფაიბერსისთვის „ელექტროტექნიკოსის“ /00431/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;**

**წარმდგენი: დავით გუდამე**

თავმჯდომარემ აცილება ითხოვა ინტერესთა კონფლიქტის გამო. მანვე, სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვისას, სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა დააკისრა საბჭოს წევრს, გიორგი გამყრელიძეს, რომელიც ასევე, ხელს მოაწერს მეორე საკითხთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას.

საკითხის განხილვა მოხდა დაწესებულების წარმომადგენლის დასწრების გარეშე.



ექსპერტმა დავით გუდაძემ ისაუბრა დაწესებულებაში გამოვლენილ ხარვეზებზე, კერძოდ:

**1.4 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.**

პროგრამაზე დაშვების მიზნით დაწესებულების მიერ განსაზღვრული წინაპირობები ბუნდოვანია, გაუგებარია რას გულისხმობს დაწესებულება ჯანმრთელობის მდგომარეობაში. არ არის დაზუსტებული ჯანმრთელობის რომელი შეზღუდვა უშლის ხელს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, დაწესებულების მდგომა იძლევა შესაძლებლობას პროგრამაზე მიღებულ იქნას 17 წლის აპლიკანტი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №381 დადგენილებით „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის“ მიხედვით, ვინაიდან „43.21-ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები“ განეკუთვნება „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოებს, რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს 18 წლის ასაკის მიღწევა.

**1.6 პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით**

პროგრამის სწავლის შედეგების შინაარსი ცალკეულ შემთხვევაში ბუნდოვანია, მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ფორმულირებითა და აღემატება პროფესიული მომზადების პროგრამისფარგლებში მათი მიღწევის ადეკვატურობასა და მიზანშეწონილობას. სწავლის შედეგები არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/დაკომპეტენციით.

**1.7 პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა . პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.**

წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 16 კვირა, 460 საათი. პროგრამის პირველ ნაწილში მოცემულია, რომ კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შედგენს 28,75 საათს. თუმცა, პროგრამის შინაარსის მიხედვით, ცალკეული კვირის სასწავლო დატვირთვა შეადგენს 15 საათს, 25 საათს, 50 საათს. მე-8 სწავლის შედეგის მიღწევისათვის დათმობილია 265 საათი, ხოლო საათების რაოდენობა რამდენ ან რომელ კვირაზეა განაწილებული არ ჩანს. მე-7 სწავლის შედეგის მიღწევისათვის დათმობილია 25 საათი, რაც არა საკმარისია მისთვის განკუთვნილი თემატიკის შესწავლისათვის.

**1.8 სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.**

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სწავლების მეთოდები სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**1.9 პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.**

ბუნდოვანია პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგებისათვის დათმობილი 315 საათიანი სწავლება არაუმეტეს 16 კვირის განმავლობაში, რა კონტექსტში განხორციელდება აღნიშნულ საწარმოში და როგორ წარიმართება სასწავლო-სამუშაო პროცესი ელექტროტექნიკოსის პროფესიული მოვალეობებისათვის საჭირო უნარების განვითარებისათვის.

**1.10 მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურს ან გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას**

დაწესებულებას არ აქვს გაწერილი და დამტკიცებული მსმენელთა შეფასების წესი, რომელიც უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურდადასტურებას.

**2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით.**

ვინაიდან, დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი პერსონალის სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ან სხვა სახის დოკუმენტაცია, პროგრამის განმახორციელებელ სამ პირს ვერ უდასტურდება კვალიფიკაცია ელექტრობის მიმართულებით.

## **2.2 პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

შეფასების დროს გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები: ა) ვიზიტის დროს C სასწავლო გარემოში მითითებული აღჭურვილობის გარკვეული ნაწილი არ იყო წარმოდგენილი ბ) ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა მატერიალური რესურსის ფლობის ან სარგებლობის უფლების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

## **2.4 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში**

ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

## **3.2 იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი - „ინფორმაცია პროფესიული მომზადების პროგრამაზე - „ელექტროტექნიკოსი“ მსმენელის შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურის შესახებ“ არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N71/ნ ბრძანებასთან „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ .

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა რეკომენდაციებზე:

### **1.2 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს**

დაზუსტდეს პროგრამის შემუშავების საფუძვლები.

### **1.6 პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.**

პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

### **1.7 პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია**

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა განისაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად, თემატიკის გათვალისწინებით.

### **1.8 სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით**

აუცილებელია, გადაიხედოს და დაზუსტდეს სწავლების მეთოდები.

### **1.9 პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას**

დაზუსტდეს პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგებისათვის დათმობილი სწავლება რა კონტექსტში განხორციელდება აღნიშნულ საწარმოში და როგორ წარიმართება სასწავლო-სამუშაო პროცესი ელექტროტექნიკოსის პროფესიული მოვალეობებისათვის საჭირო უნარების განვითარებისათვის.

რეკომენდირებულია: 1.10 ქვესტანდარტთან სრული შესაბამისობის დადგენის მიზნით, ორგანიზაციამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს შეფასების წესი, რომელიც უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

2.1 ქვესტანდარტთან პროფესიული გადამზადების პროგრამის შესაბამისობასთან მოყვანისთვის ორგანიზაციამ: 1) წარმოადგინოს პროგრამის განმახორციელებელი პირების სამუშაო გამოცდილების ამსახველი სრულყოფილი დოკუმენტაცია; 2) სასურველია, დოკუმენტალურად დადასტურდეს განმახორციელებელი პირების ჩართულობის ინტენსივობა სწავლის შედეგებთან / თემატიკასთან მიმართებაში.

2.2 ქვესტანდარტის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის მოყვანის მიზნით ა) ორგანიზაციამ შეიძინოს პროგრამით გათვალისწინებული საჭირო მატერიალური რესურსი ბ) წარმოადგინოს მატერიალური რესურსის ფლობის ან სარგებლობის უფლების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2.4 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში ქვესტანდარტთან პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით, ორგანიზაციამ წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

3.2 ქვესტანდარტის „იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან“ - შესაბამისობის დადგენის მიზნით: წარმოდგენილი წესი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს „პროფესიული განათლების კანონის“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N71/ნ ბრძანებასთან „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნა საკმაოდ დეტალურად აღწერდა პროგრამის ხარვეზებს, როგორც პროგრამული სტანდარტის ფარგლებში, ასევე მეორე და მესამე სტანდარტის ნაწილშიც. სთხოვა საბჭოს წევრებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია, რადგანაც დაწესებულების წარმომადგენელი არ ესწრება რომ მოისმინონ მისი არგუმენტები. ვვარაუდობთ, რომ მათ რეალურად ვერ შეძლეს მეორე და მესამე სტანდარტის გამოსწორება, მიუხედავად იმისა, რომ საბჭომ რამდენჯერმე გადადო საკითხის განხილვა მათი თხოვნის საფუძველზე. საბჭოს დაწყებამდე დაუკავშირდნენ ცენტრის წარმომადგენელს და დააფიქსირეს, რომ აზრი არ ჰქონდა მათ მოსვლას. ამდენად, საბჭო უფლებამოსილია საკითხი დააყენოს კენჭისყრაზე მათი დასწრების გარეშე.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ და კენჭისყრაზე დააყენეს შპს ბაზალტ - ფაიბერსისთვის „ელექტროტექნიკოსის“ /00431/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 0**

**წინააღმდეგი: 8**

**გადაწყვეტილება:**

პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

შპს ბაზალტ-ფაიბერსს (ს/კ: 211398245) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „ელექტროტექნიკოსი“ /00431/.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2020 წლის 11 აგვისტო.


საბჭოს თავმჯდომარემ, რადგან აცილება ითხოვა მეორე საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობაზე, ოქმზე საბჭოს თავმჯდომარის მეორე ხელმომწერად განსაზღვრა საბჭოს წევრი, გიორგი გამყრელიძე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 15:55 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
გამყრელიძე გიორგი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა

